პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა კომუნისტი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ორგანო

„ХАЛГАЗРДА КОМУНИСТИ" ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

გამოდის 1931 წლის

№ 30 (6134)

მ ა ი ს ი

10

მ ა რ ტ ი

1956 წ.

ფასი 20 კაპ.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავი

ას წელი გავიდა, რაც გარდაიცვალა კ. მარქსი — კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის მოწაფე.

ლენინმა სტალინი უწოდა როგორც ერთ-ერთი უადგილესი რევოლუციონერი, ნიჭიერი გამოჩენილი მარქსისტი, რომელიც ესმოდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას.

ი. ბ. სტალინის მთელი მოღვაწეობა იყო მშრომელი ხალხისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ლენინის დიდ წინასწარმდასახულებისათვის ბრძოლის თეორიის ი. ბ. სტალინი ამბობდა: „რაც მე შემეხება, მე მხოლოდ ის მოვედი ვარ და ჩემი ცხოვრების მიზანი ვიყო მისი ღირსეული მოწაფე".

ლენინმა, რომელიც შემოქმედებდა მარქსიზმის ახალ პირობებში, გენიალური დამაარსებლობით დაასაბუთა ჩაგრული რუსეთის ინდუსტრიულ-სოციალისტურ რევოლუციონერი, რომელმაც ესმოდა მარქსიზმის ცოდნა და ინიციატივას, დიდი ენერგიასა და ინიციატივით ხელმძღვანელობდა რა ლენინური კომუნისტურმა პარტიამ გაიარა შემოქმედებითი მუშაობის გზა, ლენინიზმის თეორიის ბრძნული ხელმძღვანელობით სოციალიზმის მშენებლობის რევოლუციის გზაზე საბჭოთა ქვეყანაში. ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტია განუხრელად ამ მუშაობას ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობდა რა ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა შეძლო ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის რევოლუციონერი, ბუხარინელი ნაციონალისტები და სხვა უბოროტესი მტრები, რომლებიც ცდილობდნენ ლენინური პარტიის და საბჭოთა ხალხის გზიდან ჩამოეცილებინათ პარტია და ხალხი.

ლენინის და კაპიტალიზმის რესტავრაციის, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხი შეაიარაღა სოციალისტური მშენებლობის ნათელი პერსპექტივით, გაბედულად და მტკიცედ გაემართა მშრომელებს ხუთწლიანი გეგმების განსახორციელებისათვის, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესრულებისათვის. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა შექმნა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია — სახალხო მეურნეობის დარგის ხელახალი აღორძინების საფუძველთა ფორმირება.

პარტიამ მოაწყო წვრილი და გლეხური მეურნეობის რენტაბელური სოციალისტურ სოციალისტურ სექტორებად.

ამან ფართო გზა გაუწყინა სოციალისტური ძალების, მრეწველობის სოციალისტური მეურნეობის ფორმებს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურის.

ლენინის მძლავრმა შემოქმედებამ, კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხის ორგანიზატორულმა მუშაობამ საბჭოთა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

ლენინის საზოგადოების მატერიალური ძალების უაღრესად ზრდამ შეიწოვა იყო დიდი საფრთხე, უდიდესი საფრთხე კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხი აღდგა თავისი ცენტრალური კომიტეტის და დამოუკიდებლობა. ომში საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული ძალების გამარჯვებამ, რაც მოპოვა კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი, ცხადყო ჩვენი სახელმწიფოებრივი და სახელმწიფოებრივი დიდი ცხოველმყოფელობა.

პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიაღწიეს სოციალისტური მეურნეობის გაფართოებას მთელ ქვეყანაში მეურნეობის განვითარებისათვის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესრულებისათვის. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა შექმნა მძლავრი ინდუსტრია — სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელახალი აღორძინების საფუძველთა ფორმირება.

კოოპერაციული გეგმის საფუძველზე პარტიამ მოაწყო წვრილი და გლეხური მეურნეობის რენტაბელური სოციალისტური გარდაქმნა სოციალისტურ სოციალისტურ სექტორებად.

ამან ფართო გზა გაუწყინა სოციალისტური ძალების, მრეწველობის სოციალისტური მეურნეობის ფორმებს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურის.

ამ მძლავრმა შემოქმედებამ, კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხის ორგანიზატორულმა მუშაობამ საბჭოთა სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

ლენინის საზოგადოების მატერიალური ძალების უაღრესად ზრდამ შეიწოვა იყო დიდი საფრთხე, უდიდესი საფრთხე კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხი აღდგა თავისი ცენტრალური კომიტეტის და დამოუკიდებლობა. ომში საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული ძალების გამარჯვებამ, რაც მოპოვა კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი, ცხადყო ჩვენი სახელმწიფოებრივი და სახელმწიფოებრივი დიდი ცხოველმყოფელობა.

პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიაღწიეს სოციალისტური მეურნეობის გაფართოებას მთელ ქვეყანაში მეურნეობის განვითარებისათვის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესრულებისათვის. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა შექმნა მძლავრი სოციალისტური

საქართველოს მშრომელები პატივს სცემენ ი. ბ. სტალინის ხსოვნას

თ ბ ი ლ ი ს ი

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს და უძველეს საწარმოში — ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გაიმართა დიდი ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობის, კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი.

ორმოცდათვრამეტი წლის წინათ, აქ, ყოფილ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში ჭაბუკი სოსო ჯუღაშვილი რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ხელმძღვანელობდა მუშათა წრეებს, რაზმავდა მშრომელებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქარხნის მშრომელები წმინდად ინახავენ ი. ბ. სტალინის ნათელ ხსოვნას. აქ, ი. ბ. სტალინის ხსოვნის პატივსაცემად გამართულ მიტინგზე გამოსული ამხანაგები ქარხნის უფროსი გ. მაცაბერიძე, ნოვატორი ხარატი ი. ჭუმბურიძე, ინჟინერი ნ. ვაშაკიძე, საქვაბე საამქროს ოსტატი ა. ტიურინი, ქარხნის ვეტერანი მუშა გ. ანთაძე ლაპარაკობდნენ ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის მიერ მოპოვებულ ძლევამოსილ გამარჯვებებზე. პირობას დებდნენ, რომ პირნათლად შეასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, თავდადებით იშრომებენ, იბრძოლებენ ლენინის საქმისათვის, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა იოსებ ბესარიონის-ძემ.

არ შევლახოთ ქარხნის დიდი ტრადიციები, მუდამ მოწინავეთა რიგებში ვიყოთ, მტკიცედ დავიცვათ ღირსება იმ ქარხნისა, სადაც რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა დიდი ლენინის გამოჩენილი მოწაფე და მისი იდეების დიდი პროპაგანდისტი ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილი, ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებები ვუპატაკოთ პარტიას — ეს იქნება იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნის უკვდავყოფის საუკეთესო ალნიშვნა — ამბობდნენ მიტინგის მონაწილენი.

* * *

ვრცელმა დარბაზმა ველარ დაიტია პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლები და სტუდენტები. ამიტომ ახალგაზრდების დიდი ჯგუფი კლუბის ფართოდ გაღებულ ფანჯარასთან გაჩერდა, რომელშიც გარკვევით მოისმოდა ინსტიტუტის დირექტორის გ. ტალიაშვილის ხმა.

— სტალინის გარდაცვალებიდან სამი წლის თავისადმი მიძღვნილ მიტინგს გახსნილად ვაცხადებ. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი ვცეთ მის ხსოვნას.

წუთით დარბაზში საზეიმო დუმილმა დაისადგურა, შემდეგ კი სიტყვა აიღო ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ვ. მიქაძემ.

— ამაოდ ზეიმობდნენ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის მტრები დიდი ლენინის გარდაცვალებისას. ლენინის უერთგულესმა თანამებრძოლმა და მოწაფემ სტალინმა, რომელმაც მთელი თავის შეგნებული ცხოვრების ყოველი წუთი ხალხის ბედნიერებას, მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს განმტკიცების საქმეს შესწირა, მსოფლიოს დაუმტკიცა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების სიდიადე — მომხსენებელმა ილაპარაკა პარტიის მიერ სტალინის ხელმძღვანელობით მოპოვებულ დიდ გამარჯვებებზე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, ხალხის მტრების მოსპობაზე და სტალინის მთავარსარდლობით ფაშისტურ გერმანიაზე ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ. შემდეგ კი დასძინა — როგორც პარტიის XX ყრილობაზე ამხანაგმა ნ. ხრუშჩოვმა აღნიშნა, ამჯერადაც, როცა ჩვენს რიგებში აღარ არის სტალინი, ჩვენი ქვეყნის მტრებს იმედები გაუცრუვდათ. სტალინის დაკარგვამ ვერ დააძაბუნა და დაარბია პარტია. პირიქით, იგი უფრო მტკიცედ შეიკრიბა თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო და ყოველ დღე აღწევს ახალ-ახალ გამარჯვებებს.

შემდეგ ტრიბუნაზე ერთმანეთი შეცვალეს ორატორებმა: რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა მ. ოქროსაშვილმა, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ლ. სერდიუკმა, დოცენტმა ვ. იმედაძემ, ასპირანტმა მ. კოკონოვამ, ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ ა. დარახველიძემ და ისტორიის ფაკულტეტის II კურსელმა სტუდენტმა ქ. ქალანდაძემ.

სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ფიცს სდებდნენ, რომ უკვდავი ლენინის საქმის განმგრძობის, სტალინის სხოვნა მარადიული იქნება საბჭოთა ადამიანების გულში და იგი ყოველთვის აღაფრთოვანებს თვითეულ ჩვენთაგანს კომუნისტური პარტიის მითითებების პირნათლად შესრულების საქმეში.

რუსთავი

ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროში გუშინ გვიან საღამოს მებრძმედეები შეიკრიბნენ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილ საუბარზე. საუბარი ჩაატარა ცვლის უფროსმა გ. კოპაძემ. მან მოუწოდა მებრძმედეებს მიაღწიონ ახალ შრომითს წარმატებებს, ამრავლონ თავიანთი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

უფროსმა მებრძმედემ ი. გუნწაძემ თქვა:

— ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში სამუშაოთა ახალი გრანდიოზული პროგრამა დასახა. ჩვენ, ქართველი მებრძმედეები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელ ძალღონეს მოვახმართ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. წლის დასაწყისიდან რუსთავში გეგმის გადამეტებით გამოდნობილია უკვე ათასობით ტონა თუჯი. გეგმის გადამეტებით გამოდნობილი ახალი ათასობით ტონა ფოლადით განვამტკიცებთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერებას.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საამქროს ლაბორანტმა ე. სიხარულიძემ, მეგაზე ა. პოპოვმა, ღუმელის ოსტატებმა რ. მალრაძემ და მ. გორდაშვილმა.

— თესვა დაიწყო —

ყვარელი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). რაიონის კოლმეურნეები და მექანიზატორები კარგად იყენებენ ადრეული გაზაფხულის ხელსაყრელ ამინდებს, მაქსიმალურად აჩქარებენ საგაზაფხულო ხვნა-თესვას.

ენისლის მტს-ის № 4 ახალგაზრდულმა სატრაქტორო ბრიგადამ (ხელმძღვანელი ი. ბერიაშვილი) საგაზაფხულო კულტურები ენისლის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე 50 ჰექტარზე მეტ ფართობზე დათესა, წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნაც. ამ სამუშაოებში დაწინაურდნენ მექანიზატორები შ. ადომლიშვილი, გ. კიკვიძე, ვ. მჭედლიშვილი და სხვ.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა წარმატებით მიმდინარეობს.

ლ. ველიაშვილი.

ფართოვდება ქსოვილების